| პოგრამის დასახელება | | კოდი | **ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა** | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | | | | **5,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | **განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური** | | |
| პროგრამის აღწერა | ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია შემდეგი ამოცანების განხორციელება:<br><br>1.1. ახალგაზრდები იღებენ მხარდაჭერას დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში;<br><br>1.2. ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარება მხარდაჭერილია.<br><br>2.1. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარული და წახალისებულია ახალგაზრდებს შორის;<br><br>2.2. გაზრდილია ხარისხიანი სპორტული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის;<br><br>2.3. გაზრდილია ხარისხიანი გართობისა და დასვენების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის.<br><br>ამოცანა 3.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;<br><br>ამოცანა 3.2. გაზრდილია ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობა;<br><br>ამოცანა 3.3. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამისს მხარდაჭერას.<br><br>ამოცანა 4.1. ახალგაზრდული სივრცეები შექმნილია;<br><br>ამოცანა 4.2. მხარდაჭერელია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელება, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას.<br><br>პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდებისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით | | | |

| | |
|---|---|
| | ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.<br>**შედეგი 1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობები**<br>**შედეგი 2. ახალგაზრდებს აქვთ ჯანსაღი ცხოვრების და გართობის შესაძლებლობები**<br>**შედეგი 3. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია**<br>**შედეგი 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებულია** |